

კახა გაბუნია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში

1. ქართველური ენები

აბსტრაქტი

სტატიაში ასახულია 2006-2009 წელს მაინის ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული (დამფინანსებელი – Volkswagen Foundation) პროექტის „სოციოლინგვისტური სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“ - ფარგლებში განხორციელებული მასშტაბური სამუშაოების ძირითადი ასპექტები. პროექტში მონაწილეობდა საქართველოს 12 სამეცნიერო დაწესებულების 42 მეცნიერი.

სტატიის პირველ ნაწილში წარმოდგენილია ქართველურ ენათა ჯგუფის მიერ 2006-2008 წლებში განხორციელებული კვლევის კრებვითი შედეგები.

შესავალი

ტერმინი „ენობრივი სიტუაცია“ აღნიშნავს ენის გამოყენების საერთო კონფიგურაციას მოცემულ დროსა და მოცემულ ადგილზე და მოიცავს ისეთ მონაცემებს, როგორებიცაა: რამდენი ენა და რომელი ენები (დიალექტები) გამოიყენება მოცემულ არეალში, რამდენი ადამიანი ლაპარაკობს მათზე, რა ვითარებაში, რა განწყობები და დამოკიდებულებები აქვთ მოცემული

საზოგადოების წევრებს ამ ენების მიმართ” (ფერგიუსონი, 1971, გვ, 157).

1.1. ენობრივი პოლიტიკა

ენობრივი პოლიტიკა ოფიციალური ქმედებაა, რომელიც ცდილობს, ჩაერიოს ნებისმიერი ტიპის ენის (სახელმწიფო, რეგიონალური, უმცირესობათა, უცხო და ა.შ.) ფუნქციონირების სფეროში (მაგალითად, წერის სისტემა, ოფიციალური

ენის არჩევა და ა.შ.) ან განათლების სისტემაში ამ ენების ადგილის საკითხებში. მოქალაქეებმა ან მოქალაქეთა ჯგუფებმა, შესაძლებელია, ნებაყოფლობით გაატარონ ენობრივი პოლიტიკა სახელმწიფო დონეზე ან კერძო სექტორში. ენებზე ზემოქმედებას ადგილი აქვს კონკრეტული სოციალური სიტუაციების ან მოვლენათა კონტექსტში, რომელთაც ის მიეკუთვნება. თუმცა ასეთი ენობრივი პოლიტიკა ეყრდნობა გარკვეულ პრინციპებს (ეკონომიკა და ეფექტურობა, ეროვნული იდენტურობა, დემოკრატია და ა. შ.)

ენობრივი პოლიტიკა რიგი კომპონენტებით შემოიფარგლება (ერის კონცეფცია, განათლების მიზნები და მისთ.), მოქმედი პირებისაგან (პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები, პარტიული აქტივისტები, პროფკავშირის წევრები და მისთ.) და ჩარევის დონისაგან (საკანონმდებლო, მარეგულირებელი და მისთ.). ენისა და ენის სწავლების საკითხების პოლიტიკური ბუნების აღიარება არის ამ სფეროში ნებისმიერი ქმედების წინაპირობა, რადგანაც ტექნიკური სირთულეები (სტრუქტურული, ადმინისტრაციული, ფინანსური და მისთ.), რომლებიც მთავრობებმა ინდივიდუალურად ან ერთობლივი მოქმედებით უნდა დაძლიონ, ვერ

გადაილახება, სანამ საკითხები ამ პრინციპებთან დაკავშირებით არ დაზუსტდება.

ენა თამაშობს საკვანძო როლს ამა თუ იმ სოციალური ან რეგიონულ-ეთნიკური ერთობის კუთვნილების განსაზღვრაში. **მშობლიური ენის** ღირებულების გრძნობა არის ფუნდამენტური შემადგენელი იმ ადგილის გააზრებისა, რომელიც ადამიანს უკავია საზოგადოებაში. რადგანაც ენები წარმოადგენს ჯგუფური კუთვნილების თვალსაჩინო ნიშანს, ისინი შეიძლება ადვილად გადაიქცნენ ამ ჯგუფის სიმბოლოდ. ენა შეიძლება იყოს ინდივიდისა ან ჯგუფისთვის ის ფასეული რესურსი, რომელსაც სჭირდება გაფრთხილება და შენახვა, რაც თავის ასახვას ჰპოვებს ამ ენის მიმართ დამოკიდებულებაში (რიაგენი, ლუდი, 2008, გვ. 29).

სწორედ ამიტომაც წინამდებარე სტატიაში ვიყენებთ ტერმინს **ენობრივი სახესხვაობა**, რათა თავიდან ავიცილოთ ტერმინ ენის გამოყენება, რომელიც, თავისთავად, გულისხმობს **ღირებულებებით** მსჯელობას. ენობრივი სახესხვაობის ნებისმიერი განსაზღვრება ეფუძნება გარე ფაქტორებს და არა სახესხვაობის რეალურ (ლინგვისტურ) მახასიათებლებს.

ენას, ისევე, როგორც ნებისმიერ მოვლენას, ორგვარი რაობა მოეპოვება, ორი ასპექტით განიხილება: ერთია მისი შინაგანი, იმანენტური რაობა, შეპირობებული მისი ფორმოზრევი და სემანტიკური სისტემებითა და სტრუქტურებით; ამ სტრუქტურათა მათსავე დინამიკაში გამოვლენა, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთ-დამოკიდებულებათა გარკვევა, მათი ცვლილებებისა და განვითარების კანონზომიერებათა დადგენა არის საკუთრივ **ლინგვისტიკის** ამოცანა.

მეორეა ენის დანიშნულებითი, პრაგმატული მხარე. ენის ამ დანიშნულებითი ასპექტის განსაზღვრა, ენის გამოყენებითი ფუნქციის შესწავლა, ენის საზოგადოებრივი ღირებულების გარკვევა, ენის სოციალურ, საზოგადოებრივ პროცესებთან მიმართების, მასზე ამ პროცესების ზეგავლენისა და მის მიერ ამ პროცესების ასახვის კვლევა, ანუ, ზოგადად, ენის ჩამოყალიბების, არსებობისა და განვითარების სოციალური შეპირობებულობის შესწავლა აქვს მიზნად სოციოლინგვისტიკას (ჯორბენაძე, 1980).

1. 2. ენათა ნომენკლატურა: მშობლიური ენა / დედაენა, უცხო ენა, მეორე ენა

ენათა ნომენკლატურა აკადემიური და პოლიტიკური დებატების საგანია (მათ შორის - თვით ტერმინი „ენაც“). სასურველია გადაიდგას ნაბიჯები

ტერმინოლოგიის ჩამოსაყალიბებლად, სულ მცირე, ენათა ტიპების განსაზღვრისთვის: მშობლიური ენა, უცხო, მეორე ენა და სხვ. თუმცა, ყველა ამ კატეგორიის ობიექტური განსაზღვრა შეუძლებელია.

საინტერესო მიმართებაა ქართულ სინამდვილეში ტერმინებს „მშობლიურ ენასა“ და „დედაენას“ შორის.

ევროპულ ენათმეცნიერებაში მშობლიური ენის აღსანიშნავად მეტწილად გამოიყენება დედის სემანტიკის მომცველი შესიტყვებანი (ინგ. *Mother tongue*, გერმ. *Muttersprache*, შვედ. *Modersmål*, ფრანგ. *La langue maternelle*, ესპ. *La lengua materna*, ქართ. დედაენა და ა. შ.); ამავე მნიშვნელობით (პრაქტიკულად, როგორც სინონიმს) განიხილავენ ტერმინს მშობლიური ენა (ინგ. Native Language, რუს. родной язык, ქართ. მშობლიური ენა); აღსანიშნავია, რომ ომის შემდგომ გერმანიაში გაიმართა სერიოზული დისკუსიაც კი, სადაც განიხილებოდა ისტორიული „დედაენის“ უფრო „ადეკვატური“, ნათარგმნი „მშობლიური ენით“ (ან – ბაზისური ენით) ჩანაცვლების თაობაზე. გერმანიაში სრულიად განსხვავებული იყო მოტივი – ნაციონალიზმში დადანაშაულება (რამიშვილი, 2000, 70); ამ მხრივ განსაკუთრებული სიტუაციაა ქართულ სინამდვილეში.

დედაენა განისაზღვრება, როგორც „ღვიძლი“ ენა, რომელიც პიროვნების

იდენტობის განმსაზღვრელია, მიუხედავად იმისა ბავშვობიდან აითვისა იგი თუ არა. როგორც ზემოთ ითქვა, ევროპულ ენებშიც მოიპოვება შინაარსითა და ფორმით მსგავსი ლექსემა, მაგრამ, ისტორიული სინამდვილიდან გამომდინარე, ისინი უფრო კნინობითი ელფერის მატარებლები არიან და, ტრადიციულად, ქალების, ბავშვებისა და საზოგადოების სხვა, წერა-კითხვის უცოდინარი წევრების მეტყველებაზე მიუთითებს; ქართულში კი იგი მთავარ ენას აღნიშნავს (რამიშვილი, 2000, გვ. 9; კიკვიძე, 2004, გვ. 206-212. დენისონი, 1986, პატანაიაკი, 2003, გვ. 23-28).

დედაენის განმარტებისას ხაზი ესმევა ტერმინის სოციოლოგიურ დანიშნულებას: „დედაენა მთავარ ენას ნიშნავს და არა ვისიმე ენას (სოციოლოგიის ობიექტია და არა ინდივიდუალური ფსიქოლოგიისა)“ - იხ. რამიშვილი, 2000, გვ. 9); „დედაენა არის წინაპრების მიერ შექმნილი კულტურის ენა, რომელიც, როგორც სამყაროს ხედვა-აღქმის სისტემა, მრავალ თაობას აერთიანებს. დედაენა მთავარი ენაა და არა მაინცდამაინც ბიოლოგიური მშობლის ენა“ (ფუტკარაძე, 2005, 324).

როგორც ჩანს, არის მცდელობა, ტერმინ „დედაენას“ განსაკუთრებული

ფუნქციები დაეკისროს (ისეთი, რაც, მაგალითად, არ აქვს ინგლისურ mother Tongue-ს) და ამას აქვს გარკვეული ობიექტური წანამდღვარიც: აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი – XIX საუკუნის ბოლოს სწორედ ამ სახელწოდებით (**დედა ენა**) დაიბეჭდა იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო, რომლითაც მთელი ქართველი ერი იწყებდა მშობლიური ენის შესწავლას და შემთხვევითი არ არის ქართველ მეცნიერთა შორის გავრცელებული მოსაზრება, რომ „სამწიგნობრო ქართული (იგივე სალიტერატურო ქართული) – დედაენას უიგივდება“ (ფუტკარაძე, 2005, 61).

თავისთავად, თუკი მშობლიურ ენას ტრადიციული გაგებით მივუდგებით (ეს არის ენა, რომლის მეშვეობითაც ბავშვი ლინგვისტური „წესების“ გაცნობიერებასა და შეთვისებას იწყებს მის უშუალო გარემოში და, ამავე დროს, იძენს კომუნიკაციური ქცევის წესებს), ტოლობის ნიშნის დასმა ტერმინებს **მშობლიურ ენასა** და **დედაენას** შორის მიზანშეუწონელია; ცხადია, რომ ტერმინს - **დედაენა** დღეს უკვე შეძენილ-შეთვისებული აქვს დამატებითი ნიუანსები, რაც ტერმინ მშობლიური ენისათვის არ არის დამახასიათებელი.

მაშასადამე, წინამდებარე სტატიაში შეგნებულად ვარიდებთ თავს ტერმინების: **მშობლიური ენა**, **დედაენა** გამოყენებას და ვიყენებთ ტერმინს **პირველი ენა** - ეს არის ენა, რომელსაც ადამიანი ბუნებრივად, უმთავრესად ოჯახში, მშობლების გარემოცვაში, ყოველგვარი ინსტრუქციების გარეშე, ადრეულ ასაკში ეუფლება.

აღსანიშნავია განსხვავება ტერმინებს - **მეორე ენა**, **უცხო** (უცხოურ) ენას შორის. მეორე ენა არის სხვა ნებისმიერი ენა, რომელსაც ადამიანი სწავლობს პირველი ანუ მშობლიური ენის შემდეგ. აქ მახვილი გადატანილია გეოგრაფიული და სოციალური გარემოს მნიშვნელობაზე; ანუ ეს ენა შეისწავლება იმ გარემოში, რომელშიც ამ ენაზე საუბრობენ. ეს არ არის ე.წ. უცხო (უცხოური) ენა... მეორე ენა გულისხმობს არა მხოლოდ დაუფლების თანამიმდევრობას, არამედ ხაზს უსვამს ენობრივი სახესხვაობის სოციოლინგვისტურ სტატუსს.

უცხო ენა ეწოდება იმ ენას, რომლის გამოყენებაც არ ცდება საკლასო ოთახის ფარგლებს. ამ ენის სიღრმისეული შესწავლა, ისევე, როგორც უცხო ენისა, გამწვანებულია. ძნელია, ისე ისწავლო უცხო ენა, როგორც მშობლიური ან, თუნდაც, მეორე ენა.

აუცილებელია გაიმიჯნოს მეორე ენისა და უცხო ენის სტატუსები:

ტერმინი **უცხო ენები** ხშირად გამოიყენება, რათა მოვიხსენიოთ ენობრივი სახესხვაობები, რომელთა სწავლება შესაძლოა ნაკლები მოტივაციით იყოს გამოწვეული: კერძოდ, შემსწავლელები არ არიან იმ სახესხვაობებთან კონტაქტში, ან მხოლოდ ვირტუალურ ან შეზღუდულ ფორმებს იყენებენ (კინო, ტელევიზია, იმ ქვეყნებში ვიზიტები, სადაც ისინი გამოიყენება და მისთ.). ამის გამო, ისინი, შესაძლოა, ნაკლებად აცნობიერებდნენ საკუთარ მოთხოვნილებებს უცხო ენებზე - ისინი ჩვეულებრივი სკოლის საგნებად მიიჩნევიან, რომლებშიც მიღწევების დამადასტურებელი არა ფაქტობრივი დაუფლება, არამედ მათი შეფასებაა (ტესტები, გამოცდები); ეს არის მეორე ენისა და უცხო ენის არსებითი განმასხვავებელი: მეორე ენას შემსწავლელი ეუფლება, შეითვისებს; უცხო ენას - სწავლობს, როგორც საგანს (აქედან გამომდინარეობს მეთოდიკური მიდგომებისა და სწავლების სტრატეგიების არსებითი სხვაობაც)...

1.3. სახელმწიფო ენა; დომინანტი ენა; ენობრივი უმცირესობები

სახელმწიფო ენა ენობრივი სახესხვაობაა, რომელსაც აქვს კონსტიტუციით ან სხვა ლეგალური ინსტრუმენტებით სანქცირებული

როლი სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის საკომუნიკაციო ენის სახით (სამთავრობო დეპარტამენტები, იურიდიული სისტემა, სკოლები და ა. შ.). ეს გულისხმობს, რომ კერძო კომუნიკაციებში მოქალაქეებს შეუძლიათ გამოიყენონ ნებისმიერი ენობრივი სახესხვაობა. მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, ოფიციალური ენა არის მოსახლეობის რიცხოვრივად ან სოციალურად მნიშვნელოვანი ნაწილის **მშობლიური ენა**, თუმცა, მაგალითად, დასავლეთ ევროპული ქვეყნების ყოფილ კოლონიებში ეს როლი შესაძლოა ითამაშოს **კოლონიზატორის ენამ**, რომელიც არ არის არც ერთი აბორიგენი ჯგუფის მშობლიური ენა.

ეროვნულ სახელმწიფოებში **ოფიციალური ენა** შესაძლოა იდენტურობის ანუ ეროვნულ საზოგადოებაში გაწევრიანების ფაქტორი გახდეს. სახელმწიფო ენა ყოველთვის არ ემთხვევა მოქალაქეობას (თუ ინგლისურად ლაპარაკობთ, არ ნიშნავს, რომ ხართ ავსტრალიის მოქალაქე; ფრანგულად და ფლამანდიურად მოლაპარაკებელი ენები ერთი და იმავე სახელმწიფოს მოქალაქეები არიან...). ამის გამო, ტერმინი **სახელმწიფო ენა**, არის უფრო ემოციურად დატვირთული, ვიდრე ოფიციალური ენა (ენობრივი განათლების

პოლიტიკის განვითარება ევროპაში - სახელმძღვანელო პრინციპები, 2008, გვ. 64).

ტერმინი **დომინანტი ენა** განეკუთვნება სახესხვაობას, რომელსაც უფრო მაღალი ლეგალური ან სოციალური სტატუსი აქვს სხვა სახესხვაობებთან შედარებით მოცემულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე. უპირატესობა შეიძლება გავრცელდეს სახელმწიფოში ან ეხებოდეს იმავე სახელმწიფოს მხოლოდ ერთ რეგიონს. ეს უპირატესობა არ გაიზომება მხოლოდ მოლაპარაკეთა რიცხვით. ადგილი, რომელსაც საზოგადოება მიანიჭებს სახესხვაობებს, რომელთაც აქვთ ასეთი სტატუსი, გვკარნახობს, რომ შესწავლილი უნდა იყოს სხვა სახეობებისადმი სივრცის გამოყოფის სათანადოობა და ამ სივრცის მახასიათებლები.

ენობრივ უმცირესობად იწოდება ენა, რომელზეც შესაძლებელია ლაპარაკობდნენ უმცირესობები ეროვნული ტერიტორიის ნაწილზე, და რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს კი ოფიციალური სტატუსი, მაგრამ ეს შესაძლოა არ იყოს ოფიციალური ან ლეგალური ენის სტატუსი.

ტერმინი **ენობრივი უმცირესობა** განეკუთვნება ენობრივ სახესხვაობებს, რომლებიც გამოიყენება გარკვეული ჯგუფების მიერ: ეს ჯგუფები თავიანთ

თავს განსხვავებულად მიიჩნევენ მათი ტერიტორიული განსახლების, რელიგიის, ცხოვრების წესის ან ნებისმიერი სხვა მახასიათებლის გამო და განამტკიცებენ ან არეგულირებენ თავიანთ განსხვავებას უფრო დიდი საზოგადოების ფარგლებში.

ზოგიერთი საზოგადოების ენობრივი უმცირესობის სტატუსი არ შეესაბამება რაოდენობრივ კრიტერიუმს: გარკვეულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე ან საზოგადოებაში ასეთი სახესხვაობები შესაძლოა ფართოდ იყვნენ გავრცელებული; მაგრამ სტატუსი განეკუთვნება **უფლებებს**, რომლებითაც ეს ჯგუფები სარგებლობენ ან ვერ სარგებლობენ: ამ ენის სასამართლოში გამოყენება, ლეგალური ან ადმინისტრაციული დოკუმენტების წარმოება, განათლებაში **სწავლების ენად** (როგორც დაწყებით სკოლაში, ისე უნივერსიტეტებში) გამოყენება, ეროვნულ მედიაში ფუნქციონირება, საგზაო ნიშნებში და ა.შ. რეგიონული და/ან უმცირესობათა ენების ქარტია ჩამოთვლის საზოგადოებრივი ცხოვრების სექტორებს, რომლებშიც წევრი სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ ასეთი ენობრივი სახესხვაობებისათვის მხარდაჭერაზე.

1.4. ენობრივი თვითიდენტიფიკაცია და ჰეტეროიდენტიფიკაცია

ენა, რელიგიასა და ტერიტორიასთან ერთად, პიროვნების თვითიდენტიფიკაციის ერთ-ერთი რესურსია. თუმცა, 21-ე საუკუნეში სახელმწიფოს ფორმირება ვერ მოხდება იმავე მოდელით, რომლითაც ყალიბდებოდა ქვეყნები მე-19 საუკუნეში: დღეს უკვე შეუძლებელია, რომ სახელმწიფოებრიობის აღქმა განხორციელდეს მხოლოდ ისეთი საერთო ისტორიული ღირებულებების საფუძველზე, როგორცაა რელიგიური მემკვიდრეობა, ინდივიდუალური მორალი და ინდივიდუალიზმი ან საერთო პოლიტიკური იდეალები, რომლებიც ჯერ კიდევ საკმაოდ შორსაა ხალხის ჩვეულებრივი ყოფისგან...

ენის მეშვეობით იდენტიფიკაციის საკითხის შესწავლა მხოლოდ იდენტობის ფორმირების პროცესის კონტექსტში უნდა მოხდეს... საკითხის ამ კონტექსტში შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგან ენა არის იდენტიფიკაციის მექანიზმი და, ამავე დროს, მნიშვნელოვანი ფაქტორი პიროვნების გარკვეული ჯგუფისადმი მიკუთვნების შიდა და გარე ფაქტორების ჩამოსაყალიბებლად.

ენის მეშვეობით იდენტიფიკაცია კულტურული იდენტიფიკაციის

ფართოდ გავრცელებული ფორმაა, რადგან ენა, საზოგადოდ, ითვლება პიროვნების ამა თუ იმ ჯგუფისადმი მიკუთვნების მიმანიშნებელი. თუმცა, მხოლოდ ერთი ენის გამოყენება, როგორც იდენტიფიკაციის მახასიათებლისა, წარმოადგენს მცდელობას, დაკნინდეს რეალური ლინგვისტური მრავალფეროვნება. ენობრივი იდენტობის ერთფეროვან პროცესად წარმოდგენა არის მიზანმიმართული მცდელობა, მოხდეს ლინგვისტური რეალობის იგნორირება (ბეკო, 2008, გვ. 13).

იდენტიფიკაციის ენა, ეს იქნება თვითიდენტიფიკაცია თუ ჰეტეროიდენტიფიკაცია, ჩვეულებრივ, არის **მშობლიური ენა**. ერთი შეხედვით, ტერმინი „მშობლიური ენა“ საკმაოდ ერთმნიშვნელოვანია, თუმცა, რეალურად არც ისე მარტივ ტერმინთან გვაქვს საქმე (იხ. ზემოთ). პრაქტიკულად, ბავშვი პირველ ენად ეუფლება როგორც დედის, ასევე მამის ენას; თუ მშობლებს აქვთ ერთი საერთო მშობლიური ენა ან ენა, რომლის საშუალებითაც მშობლები ახდენენ კომუნიკაციას ერთმანეთში - პრობლემა არ ჩანს. თუმცა, ზოგჯერ მშობლები ფლობენ ერთზე მეტ ენას, რომელთა მეშვეობითაც ისინი ახდენენ კომუნიკაციას და ეს ენები ყოველთვის არ არის ოჯახის ამ

წევრთა მშობლიური (პირველი) ენები. ერთი რამ ნათელია, რომ „მშობლიური ენა“ ყველაზე ხელმისაწვდომია იდენტიფიკაციის მიზნებისთვის, რადგან შთამომავლობისთვის, რადგან შთამომავლობისთვის გენეტიკური ხაზით იდენტიფიკაციის მარტივი გადაცემის შესაძლებლობას იძლევა.

ხშირ შემთხვევაში ივარაუდება, რომ იდენტიფიკაციის ენას როგორც თვით- ისე ჰეტერო აღქმის პროცესში წარმოადგენს **სახელმწიფო (ეროვნული) ენა**. იდენტიფიკაციის ეს მოდელი უკანასკნელ ხანებში უფრო და უფრო პოპულარული ხდება...

ენა უფრო ამძაფრებს სხვებისგან განსხვავებულობის შეგრძნებას, ენის განსხვავებულობა სიმბოლიზებულია ამა თუ იმ ჯგუფის აბსოლუტურ იდენტურობასთან. ეს თვითკატეგორიზაცია გახდა ტრადიციული ევროპაში, რაც გამოიხატა ისეთი ისტორიული ტერმინების მეშვეობით, როგორებიცაა: ეროვნული უმცირესობა / ეროვნებები და ერები... ერის განსაზღვრის ეს **ეთნიკური კონცეფცია** (როგორც ხშირად უწოდებენ), მკვეთრად განსხვავდება ერის განსაზღვრის **სამოქალაქო კონცეფციისაგან**; ეს უკანასკნელ იყო და არის ოფიციალური და ჩვეულებრივი კატეგორიზაციის ბაზისი, რომელიც აღიქვამს ეროვნულ და სამოქალაქო

ერთობებს, როგორც ერთსა და იმავეს და აკავშირებს ეროვნულ ერთობას ერთენოვნებასთან (ბეკო, 2008, გვ. 19).

2. პროექტის - „სოციოლინგვისტური სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“ - შესახებ

საქართველოში სხვადასხვა ენებია წარმოდგენილი აქედან ზოგი ინდო-ევროპულია (ბერძნული, რუსული, სომხური, ოსური, ქურთული, უკრაინული, ლაიჯური), ზოგი ალთაური, ანუ თურქულ-თათრული, (აზერბაიჯანული), უნგრულ-ფინური (ესტონური აფხაზეთში – სოფ. ესტონკა და სალმე), ზოგი სემიტური ოჯახის, ანუ არამეულ-სირიული (საქართველოს ცალკეულ სოფლებში) და იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახი, რომელშიც გამოიყოფა ოთხი ჯგუფი: ქართველური, აფხაზურ-ადიღური, ნახური და დაღესტნური (იხ. დანართი #1)

ქართველური ენების ერთ-ერთი სახესხვაობა - ქართული ენა სახელმწიფო ენის სტატუსით სარგებლობს; სხვა ქართველურ ენათაგან ყველა უმწერლობო (დამწერლობის არმქონე) ენებია.

2003 წლის 12-14 დეკემბერს ქალაქ ფრანკფურტში Volkswagen Foundation-ის მხარდაჭერით ჩატარდა საერთაშორისო

კონფერენცია "The sociolinguistic situation of present-day Caucasia", რომელშიც მონაწილეობდნენ კავკასიოლოგები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან; ამ კონფერენციაზე დაისვა საკითხი, ჩატარებულიყო თანამედროვე მეთოდებზე დაფუძნებული სოციოლინგვისტური კვლევა, რომელიც შედეგად მოგვცემდა საქართველოში არსებული ენობრივი მრავალფეროვნების სრულყოფილ ანალიზს.

2006 წლის 16 თებერვალს ხელი მოეწერა პროექტს (დამფინანსებელი – Volkswagen Foundation; პროექტის ავტორები - ი. გიპერტი, მ. თანდაშვილი; განმკარგველი - მაინის ფრანკფურტის უნივერსიტეტი); მის განხორციელებაში მონაწილეობას იღებდა 8 სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულების 42 წამყვანი მეცნიერი; პროექტის ფარგლებში დასახული ამოცანების შესაბამისად, ჩამოყალიბდა 6 სამუშაო ჯგუფი:

- I - ქართული სალიტერატურო ენის ჯგუფი;
- II - ქართველური ენების ჯგუფი;
- III - კავკასიური ენების ჯგუფი;
- IV - არაკავკასიური ენები ჯგუფი;
- V - ქართული ენის დიალექტების ჯგუფი;
- VI - მიგრაციებისა და დიგიტალური დამუშავების ჯგუფი.

პროექტი მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, ქართული ენის, როგორც

სახელმწიფო ენის თანამედროვე სტატუსისა და ფუნქციონირების ასპექტების შესწავლას; მეორე მხრივ, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური და ლინგვისტური ჯგუფების ენათა (სამეტყველო კოდების) სოციოლინგვისტურ ანალიზს. საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, აღნიშნული პროექტი მულტიდისციპლინური ხასიათის გახლდათ: პროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა საქართველოში ბოლო ასწლეულის მანძილზე მიმდინარე მიგრაციული პროცესებისა და თანმდევი ენობრივი ცვლილებების შესწავლა.

პროექტი, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ითვალისწინებდა არა საკუთრივ ენის (ენების) შინაგანი სტრუქტურა-შედგენილობის ანალიზს, არამედ იმის აღწერას, თუ როგორ გამოიყენებენ ადამიანთა სოციალური ჯგუფები ამ ენას. ენის შინაგანი სტრუქტურა „აპრიორი“ მიიღება, როგორც არსებული მონაცემი და სპეციალურ ანალიზს არ ექვემდებარება; ჩვენთვის საინტერესო გახლდათ ის, თუ სოციალური ცხოვრების რომელ სფეროებში გამოიყენება საკვლევი ენები; როგორია მათ შორის ურთიერთ-მიმართება სტატუსისა და ფუნქციონალური გადანაწილების თვალსაზრისით; რომელი ენა, ასე ვთქვათ,

„მეთაურობს“, ანდა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობის ძირითადი (თუმცა არაოფიციალური) საშუალებაა; რომელი ენები იხმარება რელიგიური, საოჯახო თუ ყოფითი ურთიერთობის ენების ფუნქციით...

ამ საკითხებზე პასუხის გაცემა საკმაოდ რთულია და ამ მიმართულებით საქართველოში კვლევა-ძიება მხოლოდ უკანასკნელ ხანებში დაიწყო. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პრობლემებისადმი მიძღვნილ არსებულ ნაშრომებში აქცენტი ძირითადად გადატანილი იყო **დიაქრონიულ სოციოლინგვისტიკაზე**, რომელიც შეისწავლის ენის განვითარების პროცესს საზოგადოების განვითარებასთან მიმართებით. სხვადასხვა ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო, სინქრონიული სოციოლინგვისტიკის განვითარების ხელშეწყობა, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში – არ ხდებოდა.

2.1. კვლევის მეთოდები

ენის ფუნქციონალური კვლევისათვის საგანგებო მეთოდოლოგია არსებობს: სამაგიდე კვლევა, სოციუმის ანკეტობრივი გამოკითხვა, ჩაღრმავებული ინტერვიუ და სხვა. იურიდიული (სახელმწიფო, რეგიონალური, უმცირესობის) სტატუსის

მქონე ენების სოციოლინგვისტური კვლევა საკონსტიტუციო და ნორმატიული აქტებისა და ანკეტური გამოკვლევების შედეგების განხილვას ემყარება, სტატუსის არმქონე ენების კვლევის დროს კი ანკეტური გამოკითხვა გამოიყენება იმის დასადგენად, თუ როდის და რა ვითარებაში - რა კონტექსტში ხმარობს ესა თუ ის პიროვნება ამა თუ იმ ენას. პიროვნების ისეთი მახასიათებლების განსაზღვრა, როგორცაა ეროვნება, რელიგიური (კონფესიური) კუთვნილება, დედაენა, ადამიანის ცალსახა უფლებაა, გამყარებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციით და მისი კვლევის ერთადერთი მეცნიერულად აპრობირებული მეთოდი არსებობს - ანკეტური გამოკითხვა.

კითხვარებში, რომლებიც გამოიყენება სოციოლინგვისტური აღწერისას, ენობრივ საკითხებზე დასმული შეკითხვები, როგორც წესი, ფოკუსირებულია, ერთი მხრივ, პირველ (მშობლიურ) ენაზე, მეორე მხრივ - ყოველდღიურად გამოყენებულ სხვა, არამშობლიურ ენაზე, რომელზეც ლაპარაკობენ სახლში, მეზობლებთან, სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობისას, სკოლაში ან სამსახურში და ა. შ.; ძალიან მცირე აღწერა მოიძებნება, რომელთა კითხვარებში შესულია ისეთი კითხვები, რომ გამოავლინოს იმ ენების

შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია, რომლებსაც რესპონდენტი ფლობს... ვფიქრობთ, ამ მხრივ კითხვარები, რომელიც პროექტის ფარგლებში დამუშავდა, საკმაოდ ინფორმატიულია.

კითხვარებში უნდა იყოს ადგილი, სადაც რესპონდენტი ასახავს უფრო მეტ ინფორმაციას და კითხვა არ უნდა შეიცავდეს მხოლოდ ერთ პასუხს, არამედ საშუალებას იძლეოდეს პასუხების მრავალფეროვნებისათვის და, შესაბამისად, ენობრივი ფუნქციების მრავალფეროვნების ასახვისთვის. (განსაკუთრებით ამა თუ იმ ჯგუფისადმი პიროვნების ასოცირების მრავალფეროვნებასთან მიმართებით).

ეს სტატისტიკური ჩვეულება გვხვდება სტატისტიკური დათვლის პროცესშიც; მაგალითად, სტატისტიკის მისაღებად ამა თუ იმ რეგიონში ენობრივი უმცირესობების რაოდენობის მისაღებად გამოიყენება შემდეგი ტენდენცია: ენობრივი უმცირესობების იდენტიფიკაცია ხდება მხოლოდ ერთი ენის მეშვეობით, ანუ **მშობლიური ენის** მეშვეობით, იდენტიფიკაცია ხდება ამ ენის მეშვეობით და სტატისტიკა არ იძლევა არანაირ ინფორმაციას ამ პირის მიერ თვით მშობლიური ენის ფლობის დონის შესახებ; ისევე, როგორც ის, თუ რა დანიშნულებით, რომელ სფეროებში ხდება ამ ენის გამოყენება. სამწუხარ-

რო რეალობაა, რომ ერთი ენის საშუალებით იდენტიფიკაციის მიდგომა დომინანტურია საზოგადოებათა უმრავლესობაში. შესაბამისად, ამ ტიპის დეფექტი გხვდება სოციო-ლინგვისტურ კვლევებშიც.

ინდივიდის მრავალენოვანი რეპერტუარი, როგორც ზემოთ ითქვა, შედგება სხვადასხვა ენისგან, რომელთაც ის დაეუფლება სხვადასხვა გზით (ბავშვობაში, სწავლებით, დამოუკიდებელი სწავლით და ა. შ.) და ამ პროცესში ის დაეუფლა სხვადასხვა უნარს (ზეპირმეტყველება, კითხვა, წერა და ა. შ.) სხვადასხვა დონეზე. ამ ენებს შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა ფუნქცია და დანიშნულება; მაგალითად, ოჯახის შიგნით კომუნიკაციის, მეზობლებთან ურთიერთობისას, სწავლის პროცესებში თუ სამსახურში... ენა წარმოადგენს საფუძველს, რომელიც ადულაბებს გარკვეულ ჯგუფს კულტურული მახასიათებლების მიხედვით **საიდენტიფიკაციო ენის გარშემო**. ენობრივი რეპერტუარი განსხვავებულია: ზოგიერთ ჯგუფს გააჩნია იდენტური ენობრივი რეპერტუარი, რაც განპირობებულია ისტორიული თუ გეოგრაფიული მიზეზებით და ენობრივი რეპერტუარიდან ინდივიდი ირჩევს რომელიმე ერთს, სიმბოლურ ენას, რომლის გარშემოც ყალიბდება

ჯგუფი, თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ენობრივ რეპერტუარში შემავალ სხვა ენებს კარგავს. ხდება სხვა ენების შენიღბულად ან თვითცენზურით გამოყენება, ანუ არ ხდება ამ ენებთან ინდივიდის თვითიდენტიფიკაცია; თუმცა ხდება ამ ენების გარემოებებიდან და სიტუაციიდან გამომდინარე გამოყენება.

2.2. ქართველური ენები

ქართველური ენებია ქართული, ზანური (იგივე კოლხური, ანუ მეგრულ-ჭანური) და სვანური; მეცნიერთა ერთი ნაწილი მეგრულსა და ჭანურს (იგივე ლაზურს) ცალკე ენად მიიჩნევს (გ. კარტოზია, ზ. სარჯველაზე, ჰ. ფენრიხი და სხვ.). უკანასკნელ წლებში საკამათოდ იქცა ქართველურ ენათა (მეგრულ-ლაზურისა და სვანურის) სტატუსის საკითხი; მეცნიერთა ერთი ნაწილი მათ ქართული ენის დიალექტებად მიიჩნევს.

დიალექტი, იგივე კილო, ენათმეცნიერებაში შემდეგნაირად განიმარტება:

„ენის ტერიტორიული, დროითი ან სოციალური სახესხვაობა, რომელსაც ადამიანების მეტ-ნაკლებად შეზღუდული რაოდენობა მოიხმარს და თავისი წყობით (ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკური შედგენილობა თუ

სემანტიკა) განსხვავდება ენობრივი სტანდარტისაგან, რომელიც თავად წარმოადგენს სოციალურად ყველაზე პრესტიჟულ (დია)ლექტს (ჯორბენაძე, 1989, გვ. 8). დიალექტი უნდა განისაზღვროს, როგორც ამა თუ იმ ენის მეტყველებრივი ნაირსახეობა, გავრცელებული გარკვეულ ტერიტორიაზე ან ეთნიკურ, სოციალურ, პროფესიულ, ასაკობრივ ჯგუფში. ამის მიხედვით გვაქვს ტერიტორიული, ეთნიკური, სოციალური, პროფესიული დიალექტები. (ჯორბენაძე, 1989, გვ. 8).

რასაკვირველია, დიალექტი შეიძლება გადაიქცეს ენად, ანუ ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ენობრივ სისტემად... ამ დროს იგი თვისებრივად იცვლება – რაოდენობრივი სხვაობანი თვისებრივ სხვაობებად იქცევა. (ჯორბენაძე, 1989, გვ. 10).

ურთიერთობა ენასა და დიალექტს შორის შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს: აუცილებელი პირობა იმის დასაშვებად, რომ ენობრივი სახესხვაობები ან დიალექტები ერთსა და იმავე ენას მიეკუთვნება, არის ის, რომ ისინი ერთ უწყვეტობას ანუ კონტინუუმს უნდა წარმოადგენდნენ... (ბოედერი, 2005, გვ. 218).

სოციოლინგვისტიკაში დიალექტს განსაზღვრავენ გამოყენებითი (პრაგმატული) თვალსაზრისით; შესა-

ბამისად, მისი საკუთრივ ლინგვისტური სტატუსი, როგორც წესი, მხედველობაში ნაკლებად მიიღება; შესაბამისად. აღიწერება ექსტრა-ლინგვისტური (და არა იმანენტური) ნიშნების მეშვეობით:

ტერმინი **დიალექტი** სოციოლინგვისტიკაში ზოგჯერ გამოიყენება რეგიონულ და ენობრივ უმცირესობებთან მიმართებით (ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგნორირებულია მისი, როგორც საკუთრივ ლინგვისტური იმანენტური არსი): საერთოდ, ისინი ფაქტობრივად სახესხვაობებია, რომლებიც განეკუთვნებიან ეროვნულ ან ფედერალურ ტერიტორიას. ისინი მიეკუთვნებიან მკვიდრ ან ადგილობრივ მოსახლეობას; მაგალითად, ახლად დასახლებული მიგრანტთა საზოგადოებების საპირისპიროდ. ისინი აუცილებლად არ მიეკუთვნებიან იმავე ენობრივ ოჯახს, როგორცაა დომინანტური / ოფიციალური სახესხვაობები.

დიალექტი გამოიყენება ეროვნული ან ოფიციალური ენების გამოყენებასთან დაკავშირებითაც. სახესხვაობები შესაძლოა წარმოშობით სოციოლოგიური იყოს (ასაკობრივი ჯგუფები, განათლების დონე, კომუნიკაციის ფორმალობა თუ არაფორმალობა და მისთ.) და / ან

ტერიტორიული. გადახრები შესამჩნევია, მაგალითად, გამოთქმის ან ლექსიკის თავისებურებებით. ისინი წარმოშობენ ეროვნული ენის ნორმების პრობლემას, საიდანაც „გადახრილად“ გამოიყურებიან. სახესხვაობები შესაძლოა დაკრისტალდეს და მოგვცეს იდენტურობის სუბსტანცია ახალ უმცირესობათა სახესხვაობის შესაქმნელად (კერძოდ, ერთ თაობაში ან პროფესიულ ჯგუფებში).

ასეთი ენობრივი სახესხვაობები საკმაოდ სტაბილურია - მათ შესაძლოა ჰქონდეთ დამწერლობაც კი: მხატვრული ლიტერატურა, ლექსიკონები და საბაზისო გრამატიკა. ამის გამო, საკმაოდ ადვილია, სწრაფად გახდნენ ინსტრუქტირების სუბიექტი ან საშუალება. მათ აერთიანებთ ის, რომ *არ აქვთ არანაირი ოფიციალური ან განსაკუთრებული სტატუსი*, მაგრამ მათი აღიარება დანარჩენი ეროვნული საზოგადოების მიერ არაერთგვაროვანია. ეს აღიარება, სხვათა შორის, დამოკიდებულია ურთიერთგაგების შესაძლებლობაზე ამ ტიპის სახესხვაობასა და ოფიციალურ / დომინანტ სახესხვაობას შორის და ჯგუფის კულტურულ სიახლოვეზე სხვა მოქალაქეებთან. ეს ენობრივი სახესხვაობანი საზოგადოებისადმი მიკუთვნების ფუნდამენტური გრძნობის ჩამოყალიბებაა და მისი ყველაზე

ნათელი გამოხატულებაა. ზოგ შემთხვევებში რეგიონული მიკუთვნების აზრი არ ემთხვევა ეროვნულ მიკუთვნებას, მაგრამ ის შეიძლება ქმნიდეს ეროვნული პოლიტიკური საზოგადოებიდან გამოყოფის საკმაოდ რადიკალურ ფორმას. ამის გამო, საზოგადოებრივი აზრის გარკვეული ნაწილი შესაძლოა რეგიონულ და უმცირესობათა ენებს ეროვნული ერთიანობის წინაშე მდგომ საფრთხედ მოიაზრებდეს.

სწორედ ამგვარ „საფრთხედ“ მოიაზრებს ქართველ ლინგვისტთა ერთი ნაწილი სვანური და ზანური ენების სტატუსს. უკანსკნელ წლებში გაჩნდა ასეთი მოსაზრება: „ენისა და დიალექტის გამიჯვნის პრობლემა მხოლოდ ლინგვისტიკის სფეროში ვერ მოთავსდება; კულტურული ტრადიციის მქონე არცერთი ენა საკუთრივ ლინგვისტური ნიშნებით არ არის სახელდებული ენად: ჯერ არავის დაუდგენია ენობრივ ცვლილებათა თუ თავისებურებათა ის ზღვარი, რომლის შემდეგაც მონათესავე ენობრივ ერთეულთა შორის არსებული რაოდენობრივი განსხვავებანი გადადის თვისებრივში - სისტემის ვარიანტი გადადის ახალ სისტემაში“ (ფუტკარაძე, 2003, გვ. 119); აქედან გამომდინარე, „არსებული ენების სტატუსი, როგორც წესი,

განსაზღვრულია ეთნოკულტურული და პოლიტიკურ-რელიგიური ნიშნის მიხედვით (ფუტკარაძე, 2003, გვ. 70).

საკითხის პოლიტიზების მცდელობას წარმოადგენს შემდეგი კატეგორიული მტკიცება: „როგორც წესი, ერთ ერს (ეთნიკური გაგებით) ერთი დედაენა აქვს“ (ფუტკარაძე, 2003, გვ. 62); „ერთი ერი (ეთნიკური ერთობა) ერთ ენაზე მეტყველებს“ (გვანცელაძე, 2003, გვ. 600).

წინამდებარე სტატიის ფარგლებში ამ მოსაზრების გამოწვლილვითი ანალიზის საშუალება არ გვაქვს, თუმცა, ორიოდ სიტყვით მაინც შევხებით ამ პრობლემას.

საზოგადოდ, ერთი და იგივე ობიექტი (ჩვენს შემთხვევაში – ენა) მეცნიერების სხვადასხვა დარგის შესწავლის საგანი შეიძლება გახდეს; ამის მკაფიო მაგალითია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფართო სპექტრის არსებობა: ბუნების ესა თუ ის მოვლენა შეისწავლება სრულიად განსხვავებული კუთხიდან (ქიმია, ფიზიკა, ბოტანიკა, ბიოლოგია...). ასევეა ენის შემთხვევაშიც: აუცილებელია, დავიცვათ იმანენტური განსაზღვრის პრინციპი. როცა საუბარია ამა თუ იმ ენის წარმომავლობაზე, მის ნათესაობაზე სხვა ენებთან – უნდა ვისარგებლოთ იმ წეს-კანონებითა და ტერმინო-

ლოგიით, რაც ჩამოყალიბებულია ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების წიაღში; ჯერ კიდევ ა. მეიე წერდა, რომ „ერთადერთი ენათმეცნიერული კლასიფიკაცია, რომელიც ფასეული და სასარგებლოა, ესაა გენეალოგიური კლასიფიკაცია, დაფუძნებული ენათა ისტორიაზე“ (მეიე, 1924, გვ. 1). ენად კვალიფიცირება ხდება სისტემური იგივეობა-სხვაობების მიხედვით – ეს არის აქსიომა ენათმეცნიერებისთვის და სხვა მიდგომები უკვე სცილდება ლინგვისტიკის სფეროს. შესაბამისად, ლინგვისტური ცნებებისა (ენის, დიალექტის და ა. შ.) და მათი ურთიერთმიმართების დადგენა ლინგვისტიკაში მხოლოდ საკუთრივ ლინგვისტური კრიტერიუმებით არის შესაძლებელი, ექსტრალინგვისტური ცნებებისა და კრიტერიუმების შემოტანას აქ მხოლოდ ქაოსისა და არევ-დარევის გამოწვევა შეუძლია (ონიანი, 2003, გვ. 136).

სოციოლინგვისტიკა შეისწავლის ენის (ენათა) ფუნქციონირებას სინქრონულ დონეზე; მისი მიზანი არ არის და არც არასოდეს ყოფილა ამა თუ იმ ობიექტის საკუთრივ ლინგვისტური სტატუსის დადგენა. ფაქტია, რომ ამა თუ იმ ერთეულის სტატუსი განსხვავებული იქნება ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნი-

ერებისთვის იმისგან, რაც, სხვადასხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორის გამო, „დააკანონა“ სოციოლინგვისტიკამ. ვფიქრობთ, სრულიად მართებულია მოსაზრება, რომელიც ბ. ჯორბენაძის მიერ არის ფორმულირებული: „ენათმეცნიერული (დავაზუსტებთ – საკუთრივ ლინგვისტური) თვალსაზრისით მეგრულ-ჭანური და სვანური ქართულის მოძმე ენებია, მაგრამ ეთნიკურ-პოლიტიკური (აქაც დავაზუსტებთ – სოციოლინგვისტური) თვალსაზრისით, მათ იგივე სტატუსი აქვთ, რაც დიალექტებს (ჯორბენაძე, 1989, გვ. 36).

საინტერესოა ეს საკითხი თვითინდეტიფიკაციის თვალსაზრისით: ენაა თუ დიალექტი მეგრულ-ლაზური და სვანური? – ეს იყო რესპონდენტებისთვის დასმული ერთ-ერთი კითხვა. ჩაღრმავებული ინტერვიუების ჩაწერისას. თუმცა, ცხადია, ამ საუბრის მიზანი არ ყოფილა და ვერანაირად ვერ იქნებოდა საკითხის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა და სათანადო არგუმენტაციების მოთხოვნა-წარმოდგენა. საინტერესო იყო უბრალო ადამიანების (რომელთაც ენათმეცნიერებასთან არაფერი აკავშირებთ) დამოკიდებულება მეგრულ-ლაზურთან და სვანურთან, მის როლთან დაკავშირებით.

რესპონდენტებისთვის მეგრულ-ლაზური და სვანური, ჩვეულებრივ, კუთხურ-ტომობრივი ენა ან ქართული ენის დიალექტია (კუთხურ ენად კვალიფიცირებისას თვითინდეტიფიკაციის საკითხიც თავისთავად ამოტივტივდება, ხაზი ესმება ქართველობას).

2.3. სოციოლინგვისტური კითხვარების ანალიზი

პროექტის ფარგლებში შედგენილი სოციოლინგვისტური კითხვარის უმნიშვნელოვანესი ნაწილია კითხვების ჯგუფი რესპონდენტთა ენობრივი რეპერტუარის გამოყენების სფეროების დადსადგენად. ცხადია, რომ დიგლოსიის პირობებში ქართველური ენები ერთმანეთისგან სხვაობენ ფუნქციებით: მეგრულ-ლაზურისა და სვანურის გამოყენების არეალი არ სცდება ყოველდღიურ ყოფით კომუნიკაციებს (იხ. თ. ბოლქვაძე, 2007, 223). სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში ადრე წარმოებული კვლევების მიხედვით, წარმოდგენილია მეგრულის გამოყენების არეალის შემდეგი სფეროები:

შინ, ზეპირ ფოლკლორში, ბაზარში, დაკრძალვისას, სუფრასთან, სკოლაში თა-ვისუფალ დროს, საბავშვო ბაღში, გლეხები მუშაობის დროს, უნივერსიტეტში თავისუფალ დროს,

პირადი მიმოწერისას (დამოწმებულია თ. ბოლქვაძის სტატიის - 2007, გვ. 224 მიხედვით).

ჩვენს კითხვარში გავითვალისწინეთ შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორი: როგორც ცნობილია, სოციოლინგვისტიკაში გამოყოფენ წერილობით და ზეპირი მეტყველების ენას: ეს არის ენის სხვადასხვა ფორმის დანიშნულება და იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი სფერო გამოიყენება (ლაპარაკი / მეტყველება თუ წერა). კომუნიკაციის ამ ორ ფორმას აქვს საკუთარი მახასიათებლები: სტრუქტურა, ორგანიზაცია, რეესტრი (ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარება ევროპაში - სახელმძღვანელო პრინციპები, 2008, გვ. 134-137); რაც მთავარია, ზეპირი მეტყველების ენა ხშირად ნაკლები სოციალური სტატუსის მქონეა და ვერ (ან არ) ვითარდება მისი წერილობითი ფორმა... ამ ფაქტორების გავითვალისწინებით, კითხვები დაჯგუფდა 3 ბლოკად:

1. კითხვები, რომლებიც ეხება რესპონდენტთა ზეპირ (ამასთანავე, არაფორმალურ) კომუნიკაციას (ლაპარაკისა და მოსმენის უნარები);

2. კითხვები, რომლებიც რესპონდენტთა კითხვისა და წერით უნარებს ეხება და წერითი ფორმის კომუნიკაციის რეპერტუარს ასახავს.

პირველი ბლოკის კითხვები:

ა. ენის გამოყენება შინ:

რომელ ენაზე ელაპარაკებით / ელაპარაკებოდით მამათქვენს?; რომელ ენაზე ელაპარაკებით / ელაპარაკებოდით დედათქვენს?; რომელ ენაზე ელაპარაკებით / ელაპარაკებოდით დედმამიშვილებს?; რომელ ენაზე ელაპარაკებით / ელაპარაკებოდით მეუღლეს?; რომელ ენაზე ელაპარაკებით / ელაპარაკებოდით შვილებს?; რომელ ენაზე საუბრობენ / საუბრობდნენ თქვენი მშობლები?; რომელ ენაზე საუბრობენ / საუბრობდნენ თქვენი ბებია და ბაბუა?; რომელ ენაზე მეტყველებს / მეტყველებდა თქვენი მეუღლე?; რომელ ენაზე ელაპარაკება / ელაპარაკებოდა მეუღლე შვილებს?; რომელ ენაზე ელაპარაკება / ელაპარაკებოდა მეუღლე თქვენს მშობლებს? რომელ ენაზე / ენებზე ელაპარაკებდნენ თქვენი შვილები სკოლაში შესვლამდე?; რომელ ენაზე / ენებზე ელაპარაკებდნენ / ელაპარაკებდნენ თქვენი შვილები ერთმანეთთან სახლში?; რა ენაზე ლოცულობთ თქვენთვის, როცა მარტო ხართ?; რა ენაზე ლოცულობთ ეკლესიაში?; რა ენაზე ბრაზობთ, იგინებით, იწყევლებით?; რა ენაზე ანგარიშობთ (ითვლით)? რა ენაზე ელაპარაკებით საკუთარ თავს, როცა მარტო ხართ? რა ენაზე ოცნებობთ?; რა ენაზე ელაპარაკობთ სიზმრებში?;

ბ. ენის გამოყენება ყოველდღიურ ყოფაში (თემში):

რომელ ენაზე ელაპარაკებით მეზობლებს?; ყველაზე ხშირად რომელ ენაზე გიწევთ საუბარი თქვენს სოფელში (უბანში)?; ყველაზე ხშირად რომელ ენაზე გიწევთ საუბარი სოფლის უხუცესებთან?; ყველაზე ხშირად რომელ ენაზე გიწევთ / გიწევდათ საუბარი ბაზარში?.

გ. ენის გამოყენება ოფიციალურ სტრუქტურებთან:

ყველაზე ხშირად რომელ ენაზე გიწევთ / გიწევდათ საუბარი თანამშრომლებთან?; ყველაზე ხშირად რომელ ენაზე გიწევთ / გიწევდათ საუბარი რაიონის ადმინისტრაციასთან?; ყველაზე ხშირად რომელ ენაზე გიწევთ / გიწევდათ საუბარი საავადმყოფოში?; ყველაზე ხშირად რომელ ენაზე გიწევთ / გიწევდათ საუბარი სკოლაში მასწავლებლებთან?; ყველაზე ხშირად რომელ ენაზე გიწევთ / გიწევდათ საუბარი ავტოსადგურის / რკინიგზის სადგურის სალაროებში?

დროთა განმავლობაში, ბუნებრივია, იცვლებოდა და იცვლება ენობრივი სიტუაცია. საუკუნეების წინ ქართული ენა მეგრელი საზოგადოების დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლებმა, პრაქტიკულად, ძირითადად ეკლესიის მეშვეობით იცოდა, ქართული იყო

რელიგიის ენა და, ამდენად, ქართველური ტომების ენობრივად შემკვრელ-მაკონსოლიდირებელის ფუნქციაც ეკისრებოდა – ასე რომ, არ შეიძლება იმის თქმა, რომ მეგრელმა გლეხმა საუკუნეების წინ ქართული საერთოდ არ იცოდა, იმიტომ რომ არ სჭირდებოდა... იგი არ იყო მოწყვეტილი საერთოქართულ რეალობას, ეროვნულ ფესვებს. ერთიცაა, რომ წერა-კითხვის პრობლემა მეოცე საუკუნეშიც გადმოჰყვა სრულიად საქართველოს (და არა მხოლოდ სამეგრელოს თუ სვანეთს)...

მაგრამ ქართული მისთვის არ იყო **უცხო** ენა (თუნდაც ისეთი, როგორც იყო რუსული, რომელიც მას ქართულზე ინტენსიურად ესმოდა, XIX საუკუნეში); ადრეც და დღესაც ქართული კლასიფიცირდება, როგორც მეორე ენა („მეორე მშობლიური ენა“ – როგორც ხშირად ახდენენ რესპონდენტები სახელდებას)...

ენობრივი სიტუაცია სამეგრელოში თუნდაც რამდენიმე ათეული წლის წინ იყო საკმაოდ განსხვავებული დღევანდელისგან – ტენდენცია აშკარად ქართული ენის სასარგებლოდ განვითარდა.

წარმოვადგენთ ზოგად დასკვნებს: გამოკითხულ რესპონდენტთა თითქმის ნახევარი **პირველ** ენად აღიქვამს მეგრულ-ლაზურს / სვანურს (49,4 %);

რესპონდენტთა დიდი ნაწილი პირველ ენად ე. წ. „სიმბოლურ ენას“ („დედაენას“ - ქართულს) აღიქვამს (43,8 %); 6,8 % მკაფიო იდენტიფიკაციას ვერ ახდენს და აფიქსირებს კლასიკური დიგლოსიის ფაქტს.

კითხვარის პირველი ბლოკის კითხვები ზოგადია; საინტერესო იყო კითხვარის მეორე ბლოკის კითხვებზე გაცემული პასუხების ანალიზი, ვინაიდან ეს კითხვები წერისა და კითხვის უნარ-ჩვევებზე გადის... საინტერესოა იმდენად, რამდენადაც სვანურ და ზანურ (მეგრულ-ლაზურ) ენებს არ აქვთ საკუთარი დამწერლობა და წერისა და კითხვის ენობრივი ფუნქციების ასახვის მიზნით წარმატებით იყენებენ სალიტერატურო

ენას, რომელიც ქართველურ ენათა ერთ-ერთ განშტოებას - ქართულს ეფუძნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველოს სვანურენოვანი და მეგრულენოვანი მოსახლეობა ზეპირმეტყველების მიმართულებით (ლაპარაკი, მოსმენა) ძირითადად გამოიყენებს პირველ ენას (სვანურს, მეგრულს), მაგრამ კითხვისა და წერის კომპონენტებს, ასე ვთქვათ, „ავსებს“ საერთოქართველური სტატუსით გამაგრებულ სალიტერატურო ქართული ენით. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული სალიტერატურო ენა სარგებლობს ასევე „პრესტიჟული“ ენის სტატუსით და საკმაოდ ვრცელ სფეროებს მოიცავს აგრეთვე ზეპირმეტყველების კომპონენტშიც.

სქემატურად აღნიშნული სიტუაცია ასე შეიძლება გამოიხატოს:

	ზეპირმეტყველება (მოსმენა, ლაპარაკი)	კითხვა	წერა
სვანური, მეგრული	+		
ქართული სალიტერატურო ენა	+	+	+

ცალკე განხილვის საგანია ლაზური (ზანური ენის დიალექტი - მეგრულთან ერთად): ლაზების მცირე ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზეა განსახლებული და არსებული ენობრივი სიტუაცია იდენტურია ზემოთ წარმოდგენილი სქემისა. რაც შეეხებათ

თურქეთში მცხოვრებ ლაზებს - მათი თვითინდეტიფიკაცია საკმაოდ განსხვავებულია და ცალკე განხილვასა და კვლევას საჭიროებს (წინამდებარე სტატიის მიზანი საქართველოს სოციოლინგვისტური ანალიზია).

მეორე ბლოკის კითხვების არასრული ჩამონათვალი:

„რომელ ენაზე / ენებზე კითხულობთ ჟურნალ-გაზეთებს?; საჭიროდ თვლით თუ არა, რომ პრესა გამოდიოდეს მეგრულ-ლაზურ / სვანურ ენებზე?; თუ არა, რატომ?; რა ენაზე / ენებზე გამოცემულ წიგნებს კითხულობთ?; „იცნობ რომელიმე მწერალს, რომელიც მეგრულ-ლაზურად / სვანურად წერს / წერდა?; „გაქვთ თუ არა მეგრულ-ლაზურ / სვანურ ენებზე გამოცემული წიგნები სახლში?; „რა ენაზე წერთ პირად ჩანაწერებს?; „რა ენაზე წერთ წერილებს?; „რა ენაზე აკეთებთ ჩანიშვნებს?“)...

რესპონდენტთა დიდ ნაწილს (80 %-მდე) არც კი სმენია მეგრულ (სვანურ) ენაზე გამოცემული წიგნების შესახებ (მეგრულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, ფოლკლორული მასალები, რამდენიმე ზანურენოვანი პოეტის გამოცემები...). ერთი ნაწილი ურევს ერთმანეთში ზანურ ენაზე დაწერილს - დამწერლობაში („ჩემი აზრით არც გამოცემულა, რადგან ამ ენებზე დამწერლობა არ არსებობს“; „მეგრული დამწერლობა არ არსებობს“; „სვანური დამწერლობა არ არის“... - მიწერილია კომენტარებში).

კითხვაზე: „საჭიროდ თვლით თუ არა, რომ პრესა გამოდიოდეს მეგრულ-ლაზურ / სვანურ ენებზე?“ უარყოფითად პასუხობს 72 %. განათლების ენასთან დაკავშირებითაც პოზიცია ცალსახა და ერთმნიშვნელოვანია: მხოლოდ 6-მა რესპონდენტმა გამოთქვა სურვილი, მისმა შვილებმა განათლება მიიღონ მეგრულ-ლაზურ ენაზე; 4-მა – სვანურ ენაზე (სულ გამოკითხულთა მხოლოდ – 1 %).

ფაქტობრივად, რესპონდენტებისთვის განათლების ენა, ფაქტობრივად, გაიგივებულია წერით კომუნიკაციასთან და ამ მიმართულებით კითხვებზეც განათლების ენისა და მეგრულ-ლაზურისა და სვანურის, როგორც საკომუნიკაციო კოდის (საფიქრებელია – როგორც თვით-იდენტიფიკაციის „ინსტრუმენტის“) აშკარად გამიჯნულ ფუნქციებსა და რესპონდენტთა მიერ ადეკვატურ აღქმაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ კითხვაზე: „როგორ ფიქრობთ, საჭიროა, რომ თქვენმა შვილებმა იცოდნენ მეგრულ-ლაზური / სვანური ენა?“ რესპონდენტთა უმრავლესობა (90 %) დადებითად პასუხობს.

ლიტერატურა

- არაბული, 2003 - Avtandil Arabuli, Einige Eigentümlichkeiten der Verwandtschaftsterminologie in den ostgeorgischen Bergdialekten, Kaukasische Sprachprobleme, herausgegeben von Winfried Boeder, bis, 2003.
- აფხაზურ-რუსული ლექსიკონი, 2005 - Абхазско-Русский словарь, II, Сухум, 2005, 287-289
- ბეკო, 2008 - ჟან-კლოდ ბეკო, ენები და ენათა მრავალფეროვნება, თბილისი, 2008.
- ბოედერი, 2005 - ვ. ბოედერი, ენა და კილო ქართველოლოგიაში; ენათმეც-ნიერების საკითხები, # 1-2, თბილისი, 2005.
- ბოლქვაძე, 2007 - თ. ბოლქვაძე, ქართველური დიგლოსია: კრ. ქართული სალიტერატურო ენის საკითხები; თბილისი, 2007.
- გვანცელაძე, 2003 - თ. გვანცელაძე, არის თუ არა გაგებინება ენის დიალექტისგან გამიჯვნის კრიტერიუმი? ენათმეცნიერების საკითხები, # 2, თბილისი, 2003.
- გულიე, ევროპის საბჭოს ენათა სწავლების ინსტრუმენტები, თბილისი, 2008.
- დენისონი, 1986 - Dennison, N. (ed.). Grazer Linguistischer Studien, 27, 1986;
- ენობრივი განათლების პოლიტიკის განვითარება ევროპაში - სახელმძღვანელო პრინციპები, თბილისი, 2008.
- ეფუკ, 2008 - ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები - შესწავლა, სწავლება, შეფასება, თბილისი, 2008.
- ვაინრაიხი, 1968 - Weinreich, U. Languages in Contact: Findings and problems. The Hague: Mouton, 1968.
- ვოლმერი, 2008 - ვ. ვოლმერი, ენობრივი განათლების ზოგადევროპული ინსტრუმენტი, თბილისი, 2008.
- კიკვიძე, 2004 - ზ. კიკვიძე, დედა: დენოტაცია, კონოტაცია და ცნებითი მეტაფორები // ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეთორმეტე. თბილისი: ქართული ენა, 2004:
- კლოსი, 1966 - Kloss, H. Types of multilingual communities. A discussion of ten variables. Socio-logical Inquiry, 36 (2), 1966:
- მარტინიუკი, 2008 - ვოლდემარ მარტინიუკი, ენობრივი კომპეტენციების ევროპული სტანდარტები, თბილისი, 2008.

- მეიე, 1938 – А. Мейе, Введение в сравнительной изучении европейских языков, М-Л, 1938.
- მრავალენოვანი განათლება ევროპაში, თბილისი, 2008.
- ონიანი, 2003 – ენა და დიალექტი (ქართველური დიალექტები თუ ქართველური ენები ?!), ენათმეცნიერების საკითხები, # 1, თბილისი, 2003.
- პატანაიაკი, 2003 - Pattanayak, D. P. Mother tongues: the problem of definition and the educational challenge. Towards a Multilingual Culture of Education, ed. by A. Ouane. Ham-burg: UNESCO Institute for Education, 2003.
- რამიშვილი, 2000 – გ. რამიშვილი, დედაენის თეორია, თბილისი, 2000.
- რიაგენი, ლუდი, 2008 - პადრაიგ ო' რიაგენი ჯორჯ ლიუდი, ბილინგვური განათლება, თბილისი, 2008.
- სოსიური, 1977 – Фюде Сосюр. Курс общей лингвистики, Труды по языкознанию, М, 1977.
- ფერგიუსონი, 1959 –Ferguson Ch. A., Diglossia in Word, 15, 1959.
- ფერგიუსონი, 1971 – Ferguson Ch. A., Language Structure and Language Use, Stanford, 1971.
- ფიშმანი, 1968 - Fishman, J. A. Sociolinguistic Perspective on the Study of Bilingualism. Linguistics, 39, 1968.
- ფუტკარაძე, 2003 – ტ. ფუტკარაძე, მონათესავე ენობრივ ერთეულთა კვალი-ფიკაციის პრობლემა და ქართველთა დიალექტების დაჯგუფების საკითხი, ენათმეცნიერების საკითხები, # 1, თბილისი, 2003.
- ფუტკარაძე, 2005 – ტ. ფუტკარაძე, ქართველები; თბილისი, 2005.
- ჩიქობავა, 1936 – ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936.
- ჩიქობავა, 1938 – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938.
- ჯარდელი, 1982 – Jardel, J.-P. Le concept de 'diglossie' de Psichari à Ferguson. Lenguas 11, 1982.
- ჯორბენაძე, 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1989.

დანართი #1:

ა	2002	1989	წილი მთელ მოსახლეობაში (პროცენტებში)	
			2002	1989
1	2	5	6	
სულ მოსახლეობა	4371535	5400841	100.0	100.0
მათ შორის:				
ქართველი	3661173	3787393	83,8	70,1
აზერბაიჯანელი	284761	307556	6,5	5,7
სომეხი	248929	437211	5,7	8,1
რუსი	67671	341172	1,5	6,3
ოსი	38028	164055	0,9	3,0
აფხაზი	3527	95853	0,1	1,8
იეზიდო	18329	0	0,4	
ბერძენი	15166	100324	0,3	1,9
ქისტი	7110	0	0,2	0,0
უკრაინელი	7039	52443	0,2	1,0
უზბეკი	81	1305	0.0	0.0
გერმანელი	651	1546	0.0	0.0
თათარი	455	4099	0.0	0,1
ბელორუსი	542	8595	0.0	0,2
კორეელი	22	242	0.0	0.0
თურქი (ოსმანი)	441	1375	0.0	0.0
პოლონელი	870	2014	0.0	0.0
ქურთი*	2514	33331	0,1	0,6
ყაზახი	70	2631	0.0	0.1
ჩეჩენი	1271	609	0.0	0.0
ტაჯიკი	15	1193	0.0	0.0
ბაშკირელი	36	379	0.0	0.0
მოლდოველი	864	2842	0.0	0,1
ინგუში	9	170	0.0	0.0
მორდველი	19	415	0.0	0.0
ჩუვაში	28	542	0.0	0.0

	2002	1989	წილი მთელ მოსახლეობაში (პროცენტებში)	
			2002	1989
ა	1	2	5	6
ყირგიზი	113	225	0.0	0.0
უდმურტი	13	209	0.0	0.0
ლიტველი	134	977	0.0	0.0
ბულგარელი	138	671	0.0	0.0
ებრაელი	3772	24720	0,1	0,5
მარიელი	10	424	0.0	0.0
ბოშა	472	1744	0.0	0.0
ლუზგი	44	720	0.0	0.0
ჩინელი	47	110	0.0	0.0
სპარსელი	46	123	0.0	0.0
თურქი (მესხი)	53	0	0.0	0.0
ესტონელი	59	2316	0.0	0.0
ლატვიელი	91	530	0.0	0.0
თურქმენი	74	361	0.0	0.0
ავარელი	1996	4230	0.1	0,1
თათარი (ყირიმელი)	15	615	0.0	0.0
ამერიკელი	27	41	0.0	0.0
არაბი	44	76	0.0	0.0
ასირიელი	3299	6206	0.1	0,1
ავღანელი	52	28	0.0	0,0
ჩერქეზი	22	185	0.0	0.0
ესპანელი	78	91	0.0	0.0
ფრანგი	40	43	0.0	0.0
გაგაუზი	32	206	0.0	0.0
ჰოლანდიელი	105	28	0.0	0.0
ინგლისელი	25	5	0.0	0.0
იტალიელი	31	24	0.0	0.0
ლაკი	210	426	0.0	0,0
რუმინელი	22	62	0.0	0,0
უდი	203	93	0.0	0,0
უნგრელი	32	244	0.0	0,0

	2002	1989	წილი მთელ მოსახლეობაში (პროცენტებში)	
			2002	1989
ა	1	2	5	6
ყაზარდოელი	23	293	0.0	0,0
ყუმუხი	42	155	0.0	0,0
ჩეხი	46	101	0.0	0,0
სხვა	504	7264	0.01	0.1

შენიშვნა: 2002 წლის აღწერის შედეგებში ასახული არ არის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობა, რადგან ამ პერიოდში აქ არ ვრცელდებოდა საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქცია.